GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის დოქტორი/ PhD in Public Administration
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 კრედიტი
სწავლების ენა: ქართული
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა
პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: ნანა მაჭარაშვილი
პროგრამის კოორდინატორი: მარიამ დოთიაშვილი

პროგრამის აღწერა:

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საჯარო მმართველობის 30-წლიანი გამოცდილებით, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის სახით ორიენტირებულია ხელი შეუწყოს აღნიშნული დარგის შემდგომ განვითარებას, შექმნას ახალი ცოდნა და გააუმჯობესოს კვლევის ხარისხი. პროგრამა ამზადებს დამოუკიდებელ, მაღალკვალიფიციურ მკვლევრებს და აკადემიურ კადრებს უმაღლესი საგანმანათლებნლო დაწესებულებებისთვის, ანალიტიკური კვლევითი ცენტრებისთვის, საჯარო სექტორისთვის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის. საჯარო მმართველობის დოქტორს აქვს საჯარო მმართველობის მაღალკვალიფიციური ცოდნა და შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სფეროს განვითარებაში ახალი ცოდნის გენერირების, გავრცელებისა და სოციეტალური პრობლემების გადასაწყვეტად გამოყენების გზით.

პროგრამის მიზნები:

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

1. **საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირება** - პროგრამის მიზანია საჯარო მმართველობის სფეროში არსებული ცოდნის გაფართოება დარგის უახლესი მიგნებების საფუძველზე, დარგის განვითარება ორიგინალური თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვების შემოთავაზებით, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების სისტემური და კრიტიკული გააზრების, ანალიზის და შეფასების გაღრმავება ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად. ახალი ცოდნის გენერირება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და ინოვაციური მიდგომების შესაბამისად;
2. **საჯარო მმართველობის სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება** - პროგრამის მიზანია პროფესიონალების მომზადება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნის მიზნით განახორციელებენ ინოვაციურ კვლევებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით, შეიმუშავებენ ახალ მეთოდებს არსებულზე დაყრდნობით და გამოიყენებენ პრაქტიკაში, დამოუკიდებლად მოამზადებენ და განახორციელებენ საჯარო მმართველობის სფეროში აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე კვლევით პროექტებს, მათ შორის ინტერდისციპლინურ კონტექსტში. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულისთვის ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარის გამომუშავება როგორც კოლეგებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის;
3. **საჯარო მმართველობის სფეროში კვალიფიციური აკადემიური რესურსის მომზადება** - პროგრამის მიზანია სწავლება/სწავლისა და შეფასების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიების მცოდნე კვალიფიციური აკადემიური რესურსის მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებებისთვის, რომლებიც სტუდენტებს გადასცემენ საჯარო მმართველობის ცოდნას, გამუმუშავებენ შესაბამის უნარებსა და ჩამოუყალიბებენ ღირებულებებს, რითაც ხელს შეუწყობენ მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებას და შესაბამისი წვლილს შეიტანენ საზოგადოებრივ წინსვლაში;

4. **საჯარო მმართველობის სფეროში სამეცნიერო კვლევის შედეგების საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენების უნარის მქონე პროფესიონალების მომზადება** - პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიონალების მომზადება, ვისაც აქვს სამეცნიერო პროდუქციის სოციეტალური პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტის მიზნით გამოყენებისა და კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის სასარგებლო და განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში ტრანსფორმაციის უნარი.

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საჯარო მმართვლობში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ინგლისურ ენაში გამოცდის და დარგობრივ/მიმღებ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE).

ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

დოქტორანტმა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით მოთხოვნილ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი არანაკლებ 1000 სიტყვის მოცულობით, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური შესასწავლი საკითხის სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა და სავარაუდო კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო.

გასაუბრებისას მხედველობაში მიიღება: მოტივაცია, დარგის ცოდნის დონე, წარმოდგენილი კვლევითი პროექტის სიახლე და შინაარსობრივი/მეთოდოლოგიური გამართულობა, არსებული პროფესიული გამოცდილების თავსებადობა სადოქტორო პროგრამის მიზნებთან და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მისაღებ წინაპირობებში.

<u>პროგრამის სწავლის შედეგები:</u>

საჯარო მმართველობის დოქტორი:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ზედმიწევნით აღწერს საჯარო მმართველობის დარგში არსებულ თეორიებს, შესაბამის კონცეფციებს, მათ კრიტიკულ ინტერპრეტაციასა და სამეცნიერო სიახლეებს. სისტემურად და კრიტიკულად განსაზღვრავს დარგში არსებულ პრობლემებს საჯარო მმართველობის თეორიული რაკურსის გათვალისწინებით და საჯარო მმართველობის ინდივიდუალური, ჯგუფური/გუნდური, ორგანიზაციული, სისტემური და სოციეტალური განზომილებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს სფეროს სპეციფიკასა და მის კავშირს სხვა დისციპლინებთან.
2. სიღრმისეულად განიხილავს საჯარო მმართველობის რეფორმის მოდელებს და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებს შედარებითი საჯარო მმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით და საფუძვლიანად გამოკვეთს საჯარო მმართველობის სფეროში საქართველოში მიმდინარე რეფორმას და მის გამოწვევებს SIGMA-ს სტანდარტენთან თავსებადობის კუთხით.
3. გამოკვეთს სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებისა და შესაბამისი მონაცემების საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გამოყენების პოტენციალს, საზღვრებსა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტურ, განვითარებაზე ორიენტირებულ, ინოვაციურ პროექტებში მათი ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებს.

უნარები

4. საჯარო მმართველოს აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ეფექტური მართვის მიზნით აფასებს სფეროში არსებულ თეორიული, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული ხასიათის ნაკლოვანებებს, კრიტიკულ და სისტემურ დონეზე აანალიზებს საჯარო მმართველობის პრობლემებს.
5. დარგში ახალი ცოდნის გენერირების მიზნით იყენებს საჯარო მმართველობის სფეროში არსებული სიახლის შემცველი, კომპლექსური პრობლემური საკითხების კვლევის შესაბამის მეთოდოლოგიას, მეთოდებს, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ტექნიკებს, კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გეგმავს და ეფექტურად ახორციელებს კვლევის წარმოების პროცესს, ინოვაციური და ორიგინალური მიდგომებით მისი მართვის ეტაპებსა და ინსტრუმენტებს.
6. დასაბუთებულად, გარკვევით და ახალ მონაცემებზე დაფუძნებით წარმოადგენს საკუთარი და სხვების კვლევის შედეგებს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის დარგში არსებული თანამედროვე საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო თემატურ დისკუსიებში/კონფერენციებში, აქვეყნებს სამეცნიერო პროდუქტს, რომელიც აკმაყოფილებს საერთშაორისო რეფერირებადი პუბლიკაციის წინაშე წაყენებულ სტანდარტებს.
7. იყენებს სწავლება/სწავლისა და შეფასების უახლეს მეთოდებს, შესაბამის სტრატეგიებსა და ტექნიკებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო მმართველობის რელევანტური სასწავლო კურსების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის და ეფექტურად მართავს სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებს.
8. სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას იყენებს საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ამზადებს შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებს, არჩევს დაფინანსების შესაბამის წყაროებს/ფონდებს და ქმნის საპროექტო განაცხადს საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური, განვითარებაზე ორიენტირებული, ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტურ უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტებისა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვისა და შეფასებისას, ასევე, აკადემიური საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობს საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული სტანდარტებით, პატივს სცემს განსხვავებებს, კულტურულ მრავალფეროვნებას და აღიარებს მათ მნიშვნელობას შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ სივრცეში.

10. კვლევითი პროექტებისა და განვითარებაზე ორიენტირებული, მათ შორის, საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ხელმძღვანელობს საჯარო მმართველობის დარგში არსებული ინოვაციური ცოდნისა და უახლესი მიღწევების სინთეზირებით და ზრუნავს საკუთარი და კოლეგების პროფესიულ ზრდასა და უწყვეტ განვითარებაზე.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში გამოყენებული ძირითადი სწავლება-სწავლის მეთოდები გულისხმობს ლექციას, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, სემინარს, ელექტრონული რესურსით სწავლებას. არსებული სალექციო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ სხვადასხვა მეთოდს, რაც ეყრდნობა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია როგორც ცოდნის გაფართოებაზე, ასევე საჭირო უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებაზე. სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს.

სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

სასწავლო კურსის მიზნისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია ინტერაქციული მიდგომების დანერგვაზე სწავლების პროცესში, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და აქტივობების გამოყენებას სხვადასხვა კურსების საკითხების, კურსის, როგორც მთლიანობის და პროგრამის მიზნების გათვალისწინებით. სალექციო სწავლების გარდა, პროცესი დაეფუძნება დისკუსიისა და დებატების მეთოდებს, თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, ჯგუფურ (collaborative) მუშაობას დოქტორანტების აქტიური ჩართულობის, სამომავლო აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით.

პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა დოქტორანტების პრაქტიკულ ჩართულობას, კრიტიკული და მეტა-კოგნიტური უნარების განვითარებას, რეფლექსიების, აკადემიური ჩანაწერების. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროექტებზე დაფუძნებული სწავლების, ურთიერთსწავლებისა და ურთიერთშეფასების გამოყენებას სწავლებაში. პროგრამაში გამოიყენება დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, მოხსენება, დედუქცია-ინდუქცია, როლური თამაშები, სიმულაციები, გონებრივი იერიშის ტექნიკა, შემთხვევების ანალიზი (Case study), პანელური განხილვები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო მიზნიდან გამომდინარე.

დასაქმების სფერო:

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს მკვლევრის/ანალიტიკოსის პოზიცია კვლევით ინსტიტუტებში, კერძო და სხვა ორგანიზაციებში, ან/და აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ჰქონდეს წარმატებული

კარიერა საჯარო მმართველობის სფეროში ნებისმიერი სექტორული მიმართულებით როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო და/ან საერთაშორისო ორგანიზაციებში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში N3.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მიღმაც და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: პროფესორი ნანა მაჭარაშვილი
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: +995 577 728 228
მეილი: n.macharashvili@gipa.ge

პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი: პროფესორი ნათია ჭიღვარია
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: +995 577 728 228
მეილი: n.tchigvaria@gipa.ge

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა:

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან. **სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი** მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის და ამავდროულად ორიენტირებულია გამოუმუშავოს მას სამეცნიერო კვლევის შედეგების საფუძველზე სამეცნიერო, მათ შორის, რეფერირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებელი პუბლიკაციის სტანდარტების შესაბამისი, პროდუქციის შექმნის, კვლევითი პროექტების მართვისა და სამეცნიერო კვლევის შედეგების საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენების უნარები. **სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი** მიზნად ისახავს დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევითი

უნარების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას და კვლევის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას წარმოადგენს პროსპექტუსისა და კოლოქვიუმის დაცვა. ასევე, ორი რეფერირებადი პუბლიკაციის გამოქვეყნება ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მოთხოვნების დაცვით. **პროსპექტუსი** წარმოადგენს მეორეული ლიტერატურის შესწავლისა და პრობლემური საკითხის შესახებ შეგროვებული, მეორეული მონაცემების საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგებს. იგი სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი მონახაზია, რომელშიც მოცემულია საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება, კვლევის საზღვრები, ფოკუსი, მიზნები, ამოცანები და კვლევის კითხვა/კითხვები, შესაბამისი თეორიულ კონცეპტუალური საფუძვლებით. **კოლოქვიუმი** არის სადისერტაციო კვლევის ნაწილი, ერთი დასრულებული თავის სახით, რომელიც უნდა ასახავდეს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხორციელებული თვისებრივი, რაოდენობრივი ან შერეული კვლევის საფუძველზე შეგროვებული მონაცემების და ანალიზის შედეგებს. კოლოქვიუმს თან უნდა ახლდეს მოკლე შესავალი ნაწილი, რომელშიც ასახული იქნება სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები წარმოდგენილ კვლევის შედეგების შესაბამისობის დადგენისთვის. ამავდროულად, კოლოქვიუმის თემა მოიცავს მონაცემების შეგროვების, ანალიზის მეთოდების და ტექნიკების დეტალურ აღწერას. შესაბამისად, საკოლოქვიუმო ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილ შედეგებს გააჩნია მეცნიერული ღირებულება თეორიული და ემპირიული თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო- კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს თეორიული და ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს და წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს საჯარო მმართველობის დარგის განვითარებაში. დოქტორანტის დამოუკიდებელი, კვლევითი საქმიანობა ორიენტირებულია მეცნიერულ თვითგანვითარებაზე, რომელიც ხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა
საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდ ებელი საათები
				სემესტრი							
				I	II	III	IV	V	VI		
				18	17	15	10				
			სასწავლო კომპონენტი		სპეციალობის სავალდებულო საგნები						
	PhD101	არ გააჩნია	საჯარო მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები	8						48	152
	PhD102	არ გააჩნია	კვლევა და სამეცნიერო წერა	5						39	86
	PhD103	არ გააჩნია	სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები	5						42	83
	PhD104	PhD101, PhD102, PhD103	თვისებრივი კვლევის მეთოდები		5					36	89
	PhD105	PhD101, PhD102, PhD103	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი		7					60	115
	PhD106	PhD101, PhD102, PhD103	პროფესორის ასისტენტობა			5				30	95
	PhD107	PhD104, PhD105	სადოქტორო სემინარი I (საჯარო მმართველობის სპეციფიური თემის დამუშავება)			10				18	232
	PhD108	PhD101, PhD102, PhD103	მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება		5					32	93
			სპეციალობის არჩევითი საგნები				10				
	PhD201	PhD107	სადოქტორო სემინარი II (საჯარო მმართველობის სპეციფიური თემის დამუშავება)				10			18	232
	PhD202	PhD101- PhD108	საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები				10			45	205
	PhD203	PhD101- PhD108	საერთაშორისო გაცვლით პროგრამის ფარგლებში გავლილი რელევანტური კურსი/ები				10				
			კვლევითი კომპონენტი								
	PhD301	სასწავლო კომპონენტი	პროსპექტუსი					კი/არა			
	PhD302	პროსპექტუსი	კოლოქვიუმი						კი/არა		
	PhD303	პუბლიკაციები, კოლოქვიუმი	სადისერტაციო ნაშრომი								

ცხრილი # 1: საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N1

	პროგრამის მიზნები			
	მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4
ცოდნა და გაცნობიერება				
შედეგი 1				
შედეგი 2				
შედეგი 3				
უნარი				
შედეგი 4				
შედეგი 5				
შედეგი 6				
შედეგი 7				
შედეგი 8				
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა				
შედეგი 9				
შედეგი 10				

ცხრილი N3: საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ (3) დონედ: ა) I (Introduction) - გაცნობითი დონე, ბ) D (Development of knowledge) - ცოდნის გაღრმავება, გ) M (Mastering) - ცოდნის განმტკიცება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - P (Practical application of knowledge/research). ასევე შესაძლებელია, რომ სასწავლო კურსი გადიოდეს განვითარებისა და პრაქტიკის (DP) ან გაღრმავებისა და პრაქტიკის (MP) დონეზე.

	სასწავლო კომპონენტი	ცოდნა და გაცნობიერება			უნარი					პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	სავალდებულო საგნები										
	საჯარო მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები	I	I	I	IP	I		I	IP		I
	კვლევა და სამეცნიერო წერა	I				I	I				I
	თვისებრივი კვლევის მეთოდები	D		D	DP	D	DP		D	I	D
	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი	D		D	DP	D	DP		D	D	D
	სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები							DP		DP	
	პროფესორის ასისტენტობა	D					DP	MP		DP	
	სადოქტორო სემინარი I (საჯარო მმართველობის სპეციფიური თემის დამუშავება)	D	D		DP	DP	DP			DP	DP
	მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება	D		MP					MP	DP	DP
	სამეცნიერო კომპონენტი										
	პროსპექტუსი	DP	DP		DP	DP	DP			DP	DP
	კოლოქვიუმი	DP	DP		DP	DP	DP			DP	DP
	სადისერტაციო ნაშრომი	M	M		M	M	M			M	M

დანართი N1 - პროგრამის შესაძლო საკვლევი თემატიკა:

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვლევითი გამოცდილებებიდან და სამეცნიერო პროდუქტიულობიდან გამომდინარე, სავარაუდო საკვლევი თემატიკა შემდეგ ჩამონათვალს მოიცავს:

საჯარო მმართველობის რეფორმირება, პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, საჯარო პოლიტიკის ანალიზი და შესრულების მენეჯმენტი, მტკიცებულებებზე დაყრდნობით მართვა, საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო სექტორში
ღია მმართველობა, საზოგადოებრივი მონაწილეობა და კონსულტაციები საჯარო მმართველობის სფეროში, ელექტრონული მმართველობა და საჯარო სერვისების მართვა
პროფესიული ეთიკა საჯარო მმართველობაში, მხილების ინსტიტუტი, ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში და პროფესიული განვითარება
კარგი მმართველობა, ანგარიშვალდებულება, საპარლამენტო მმართველობა და მისი გამოწვევები
ადგილობრივი თვითმმართველობები, მუნიციპალური სამართალი და მართვა, დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი თემის განვითარება, საჯარო რესურსების მართვა ადგილობრივი განვითარებისთვის
საჯარო ინფორმაციის ღიაობა და ხელმისაწვდომობა, ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში, საჯარო მმართველობის რეფორმა და მისი მართვის გამოწვევები
კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში, ეთიკისა და ქცევის წესები, შედარებითი საჯარო მმართველობა
ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა, ანგარიშვალდებულება, კეთილსინდისიერება და ეთიკა საჯარო სამსახურში, შედარებითი საჯარო მმართველობა, ორგანიზაციული კულტურა, მხილება საჯარი სამსახურში.
ელექტრონული მმართველობა, კიბერუსაფრთხოება, საჯარო სექტორში ელეტრონულ მონაცემთა დაცვა და მისი მართვა
სოციალური პოლიტიკა და მისი მართვა, სოციალური უსაფრთოების პოლიტიკის მართვა, შრომითი უფლებები, მიგრაცია და მისი მართვა, ქალების ეკონომიკური გაძლიერების მენეჯმენტი
საჯარო სამართალი, ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სამართლი, საქართველოს კანონდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გამოწვევები
საგარეო პოლიტიკის მართვა, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მართვის სპეციფიკა და გამოწვევები
გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება, ნარჩენების მენეჯმენტი და მისი მართვის სპეფიციკა
გარემოს დაცვა და ბიომრავალფეროვნების მართვა, ბუნებრივი რესურსების მართვა
გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცის პოლიტიკის მართვა
მაკროეკონომიკური, კერძოდ მონეტარული და სავალუტო პოლიტიკის, ვაჭრობის პოლიტიკის, აგრეთვე საბანკო რეგულირების პოლიტიკის მენეჯმენტი, ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის, გაცვლითი კურსის რეჟიმის, ფინანსური სექტორის განვითარების, კონკურენტუნარიანობის, სავაჭრო პოლიტიკის მართვა.
ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის მართვა, ფისკალური პოლიტიკა და სახელმწიფო ბანკების მართვა, შრომითი მიგრაციის ეკონომიკური სარგებელი, საგარეო ვაჭრობა, ვალი და ინვესტიციების მართვა
განათლების პოლიტიკის მართვა, ინოვაციების, ინკლუზიურობისა და ხარისხის მართვა განათლებაში, სკოლამდელი დაწესებულებების მართვა
საჯარო სამსახურის რეფორმის პოლიტიკური განზომილებები, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მართვა, კონფლიქტების მართვა
სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების შეფასება და ასახვა მედიაში, სამოქალაქო დაპირისპირება და პოლიტიკის აქტორთა დისკურსი მედიაში
ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, დარგობრივი ეკონომიკა, ეკონომეტრიკა, ეკონომიკის სექტორების რეგულირება.
ადამიანის სოციალური უფლებები და მისი რეგულირება, დანაშაულის და სასჯელის მართვა
ნარკოპოლიტიკის მართვა, თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკის მართვა, ფსიქიატრიულ დაავადებათა კონტროლი და მართვა, განათლების პოლიტიკის მენეჯმენტი

საჯარო მმართველობის სფეროსათვის შესაბამისი საკვლევი პრობლემური საკითხები, მათ შორის სექტორული, კროსსექტორული და ინტერდისციპლინური გაანალიზების დონეზე, რომლის ხელმძღვანელობის კომპეტენცია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს გააჩნია, განისაზღვრება შემდეგი ჩამონათვალით:

1. საჯარო მმართველობის რეფორმის მოდელები და რეფორმის განხორციელებისა და შეფასების შედარებითი პრაქტიკები ტრადიციული მენეჯმენტის, ახალი საჯარო მმართველობის, ნეო-ვებერიანული და ახალი საჯარო მმართველობის ლოგიკით.
2. საჯარო მმართველობის ნაციონალური და ადგილობრივი განზომილებათა თავსებადობა იურიდიული, პოლიტიკური და მმართველობითი რაკურსით - საჯარო მმართველობის ინსტიტუციური ანალიზი.
3. საჯარო მმართველობის პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობა და შესაბამისი ინსტრუმენტები.
4. საჯარო მომსახურეობის სპეციფიკა და სტანდარტები: ელექტრონული და სერვის+სტანდარტების დანერგვის გამოწვევები.
5. საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირება, მისი მართვის მექანიზმები და გამოწვევები.
6. საჯარო მოხელეთა რეკრუტირება და შეფასება, შეფასების მოდელები და დანერგვის სპეციფიკა შედარებითი საჯარო მმართველობის რაკურსიდან.
7. საჯარო სამოხელო სისტემის ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა.
8. მერიტოკრატიული პრინციპების დაცვა საჯარო მმართველობაში და მისი მართვის მექანიზმები.
9. მტკიცებულებებზე დაყრდნობით წარმოებული პოლიტიკის მართვა - დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.
10. შედეგზე ორიენტირებული მართვის მოდელები და მათი შედარებითი პრაქტიკები.
11. ლიდერობა საჯარო მმართველობაში და მისი ეფექტურობის მექანიზმები.
12. ორგანიზაციული კულტურის ანალიზის მოდელები საჯარო მმართველობაში.
13. ორგანიზაციული ცვლილებების მართვა და გამოწვევები საჯარო სამსახურში.
14. მოტივაციის კვლევა საჯარო ორგანიზაციებში.
15. ორგანიზაციული სწავლება და მისი მართვის მექანიზმები საჯარო მმართველობაში.
16. ჯგუფის/გუნდის მართვა და მისი ანალიზის მოდელები საჯარო მმართველობაში.
17. საჯარო ორგანიზაციების სისტემური ანალიზის პერსპექტივები.
18. კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელები და მისი გამოწვევები გარე კონტრაქტორებთან ურთიერთობის პროცესში.
19. დელიბერაციული მართვის მექანიზმები და გარე აქტორების ჩართულობის პერსპექტივები ქსელური მმართველობის განსახორციელებლად.
20. ღია მმართველობის პრინციპები და მათი დანერგვის პროცესში არსებული გამოწვევები.
21. ელექტრონული მართვის მოდელები: საუკეთესო პრაქტიკები და არსებული გამოწვევები.
22. მრავალდონიანი მმართველობის მოდელები (სუპრა-ნაციონალურ, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე) და არსებული პრაქტიკების შედარებითი ანალიზი.
23. შედარებითი საჯარო მმართველობა (ანგლო-საქსონური, ევროპული და აზიური გამოცდილებები).
24. დარგობრივი (ჯანდაცვა, სოციალური, გარემოს და ა.შ.) პოლიტიკის მართვის სპეციფიკა და არსებული გამოწვევები პოსტ-საბჭოური და აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილებით.
25. საჯარო სექტორში საჯარო პოლიტიკის ანალიზის განხორციელების სპეციფიკა და არსებული გამოწვევები ტრანსფორმირებად საზოგადოებაში.
26. მართვის ინსტრუმენტები და სტანდარტები და მათი დანერგვის პრობლემები სექტორალური და კროსსექტორული პერსპექტივებით.
27. აუნაზღურებელი დანახარჯები და გამოწვევები საჯარო მმართველობაში.
28. პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემები საჯარო მმართველობაში: ჰორიზონტალური და ვერტიკალური.
29. საჯარო ორგანიზაციათა გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება.
30. ადგილობრივი საჯარო მმართველობის განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები.

დანართი N2 - პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელების პირადი საქმეები:

ნანა (ნანი) მაჭარაშვილი

მობილური: (+995) 593 488 211

ელ-მისამართი: nana.macharashvili@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2018 წლიდან - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

2019 წლიდან - აკრედიტაციის ექსპერტი, საჯარო პოლიტიკა/მმართველობა, პოლიტიკის მეცნიერება, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2022 წლიდან - The NISPAcee საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

განათლება

Ph.D (2006)- პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი # 005555, თსუ, ასპირანტურა, პოლიტიკის მეცნიერება

M.A. (2003) - მანჩესტერის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, ერთობლივი ბრიტანულ-რუსული სამაგისტრო პროგრამა

PG Diploma (2003) -მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, პროფესიული გადამზადების პროგრამა

M.A. (2001) - თსუ, მაგისტრატურა, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი

B.A. (1999) - თსუ, ბაკალავრიატი, პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი

პუბლიკაციები

1. Macharashvili, N., Gorgodze, A., Kipiani, K., (2024), U21 and Sustainable Development Goals (SDGs), Research Report, Research Project funded by UEFA Academy.
2. ნორდბერგი, კ, ლინდი, მ., ტაბეშაძე ნ., ჩუთლაშვილი, ა., მაჭარაშვილი, ნ., (2023), რეკომენდაციები საქართველოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების არსებითი მონაწილეობის გასაზრდელად (შვედური და ფინური გამოცდილების საფუძველზე), თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
3. მაჭარაშვილი, ნ., ცუხიშვილი, ნ. (2022), საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება, კვლევის ანგარიში, საჯარო მოხელეთა ჰაბი. თბილისი.
4. საქართველოს საჯარო სამსახურში ტექნიკური და არააკადემიური პროფესიების შესწავლა, კვლევის ანგარიში მომზადებულია ACT-ის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისთვის (GIZ), 2022, თბილისი, საქართველო.
5. Macharashvili, N., Sanikidze. T., Beridze, E., Begoidze, M., Chalauri, N., (2020), Political Independence of Civil Servants and the Role of Senior Civil Servants. Tbilisi: GIPA with the support of UNDP Georgia.
6. მაჭარაშვილი, ნ., სანიკიძე, თ., ბერიძე, ე., ბეგოიძე, მ., ჩალაური, ნ., (2020), პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოხელის ინსტიტუტი, თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.
7. ძებისაშვილი, შ., მაჭარაშვილი, ნ., (2020), უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის სახელმძღვანელო, თბილისი: ნატოს სამოკავშირეო ოფისი (NLO), პროფესიული განვითარების პროგრამა.
8. Véronique Dudouet, Alia Ashaq, Ekaterine Basilaia and Nani Macharashvili, (2018), From Policy to Action: Assessing the European Union's Approach to Inclusive Mediation and Dialogue Support in Georgia and Yemen. Peacebuilding, DOI: 10.1080/21647259.2018.1491279 (HORIZON2020)

9. Nana Macharashvili, Ekaterine Basilaia, Nikoloz Samkharadze, (2017), Assessing the EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia, WOSCAP case-study report. https://www.woscap.eu/publications1/index.html (HORIZON2020)
10. ეკატერინე ბასილაია, ნანა მაჭარაშვილი (2017), გენდერი და კატასტროფის რისკის მართვა: თემის მედეგობის ამაღლება სპეციფიკური საჭიროებების და პოტენციალის შესწავლის გზით, კვლევის ანგარიში, კვლევა წარმოადგენს ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამის „თემების მდგრადობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ნაწილს.
11. Lia Tsuladze, Nana Macharashvili & Ketevan Pachulia (2017), SOS Tbilisi, Problems of Post-Communism DOI: 10.1080/10758216.2017.1308228
12. Macharashvili, N., Basilaia, E, Tangiashvili, N. (2015) Policy Advocacy Success in Georgia: The Role and Limitations of NGOs in Influencing Public Policy, Tbilisi (manuscript on Georgian and English Languages).
13. N.Macharashvili, N.Vasadze, (2013) Book review for Ricketts, A. (2012) The Activists' Handbook: A Step-by-Step Guide to Participative Democracy, Zed BooksL London, NY, in *Community Development Journal* (2013) 48 (4): 648-651. Macharashvili N. (2011) Windows of Opportunity for governmental and non-governmental organization partnership in Georgia. Annual Publication. *Center of Training and Consultancy*. 2010
14. ნ.მაჭარაშვილი, შესაძლებლობების ფანჯრები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2010.
15. საქართველოში სახელმწიფო მართვის რეფორმირება: მომსახურეობაზე დაყვანილი მოქალაქეობის პრინციპი. ტრეინინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2009.
16. მაჭარაშვილი ნ. (2008), საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დამკვიდრების პერსპექტივები. ს.ს.ი.p. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. (მონოგრაფია).
17. მაჭარაშვილი ნ. (2008), ახალი საჯარო მენეჯმენტის ცენტრალიზებული მოდელი. ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის კრებული პოლიტიკა დღეს: ინსტიტუტები, პროცესები, აქტორები.
18. მაჭარაშვილი ნ. (2007), შერიგება როგორც პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში თანხმობის მიღწევისა და მშვიდობის მშენებლობის საშუალება. თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.
19. მაჭარაშვილი ნ., (2007), პოლიტიკა და საზოგადოება - პოლიტიკური ფორუმი - 10 შეკითხვა საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებაზე - 2006, თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.
20. FOLLOWING INTERNATIONAL EXPERIENCE OF NATIONAL RECONCILIATION BY REJECTING THE RETRIBUTIVE MODEL? The *CA&CC Press® AB /Central Asia & Central Caucasus Press AB/*, THE Caucasus &Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Vol. 1 (4), 2007
21. Нани МАЧАРАШВИЛИ, ОТКАЗ ОТ "КАРАТЕЛЬНОЙ" МОДЕЛИ ВОССТАНОВЛЕНИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ: ИДЕТ ЛИ ГРУЗИЯ ПО ПУТИ МЕЖДУНАРОДНОГО ОПЫТА НАЦИОНАЛЬНОГО ПРИМИРЕНИЯ? КАВКАЗ&ГЛОБАЛИЗАЦИЯ, Журналсоциально-политических и экономических исследований, Том 1 (4), 2007 г.
22. მაჭარაშვილი ნ. (2006), პოლიტიკის ანალიზი, სახელმძღვანელო, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ.
23. მაჭარაშვილი ნ. (2005), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება: რომელ მოდელს აირჩევს საქართველო. კრებ.:"წელიწდეული _ 2005", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ.
24. Мачарашвили Н. (2004), Испанский опыт проведения политики национального примирения // კრებ.: „პოლიტიკა“, # 5-6
25. მაჭარაშვილი ნ. (2001), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. კრებული „პოლიტიკური ტექნოლოგიები“, #2, თბილისი.
26. მაჭარაშვილი ნ. (2000), ადამიანის უფლებათა დაცვა. პოლიტოლოგია. სალექციო კურსების თემატიკა. თბილისი
27. მაჭარაშვილი ნ. (1998), კომპრომისი როგორც პოლიტიკური კულტურის ფენომენი. // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ.

სამეცნიეროპროექტები/მეცნიერების განვითარების მხარდაჭერის გრანტები

2022-2026 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, ევროკომისიის გრანტი - ETHICS - კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - Georgia National Project ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND-3 (2022-2026)

2022-2025 - The NISPAcee - ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

2022 - მარტი-დეკემბერი - საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება საჯარო მოხელეთა ჰაბი, მხარდაჭერის ნიდერლანდების საელჩოს მიერ.

2019-2022 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების ერთეულების განვითარების გზით (HERD), ევროკომისია, ERASMUS+ Programme, 598207-EPP-1- 2018-1-GEEPPKA2-CBHE-SP

2019-2020 - სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი - საჯარო მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოდელის როლი, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.

2015 წლიდან - ევროსაბჭოს მიერ ჰორიზონტ 2020-ის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის შენება სოციეტალური გადაწყვეტის დონეზე“ კოორდინატორი და ადგილობრივი მკლევარი - HORIZON 2020 – EU Whole-of-Society Conflict Prevention and Peacebuilding (EU-WOSCAP), 653866 – WOSCAP –H2020-BES-2014-2015/H2020-BES-2014, Local Expert, Project Coordinator at Tbilisi State University.

2015 წლიდან – მკვლევარი, ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კვლევითი პროექტი „გარემოს დაცვის პოლიტიკის ადვოკატირება თბილისში - Research Beyond the Ivory Tower: Policy and Communications Training for University Teams programme, .'NUPI - Norwegian Institute of International Affairs fellowship for research - SOS Tbilisi: Does Environmental Civic Participation Enable Deliberative Democracy in Georgia?

2014-2016 - ავტორი საჯარო მმართველობის და პოლიტიკის მიმართულებით, განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, პროექტის "განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგია, გენდერი, გამოყენებითი სტატისტიკა, საჯრო პოლიტიკა და მართვა" ფარგლებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

2013-2015 – ადგილობრივი ექსპერტი – V-Democracy Institute, Department of Political Science, University of Gothenburg (Sweden). https://v-dem.net/DemoComp/en/data/analysis.

2013-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და მთარგმნელი, აშშ-ს საელჩო, ამერიკელი ავტორების წიგნის თარგმნის პროექტი, იულიამ დანი, საჯარო პოლიტიკის ანალიზი;

2012-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და უფროსი მკვლევარი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) გრანტი. გარე აქტორების მონაწილება საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ფორმირებაში.

ნათია ჭიღვარია
ტელ: (+995 595 659556)
ელფოსტა: natia@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა:

- ჯიპა_ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტუტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციული ხელმძღვანელი; პროფესორი;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

განათლება

- 2010 წელი_ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი; აკ.წერეთლის სახელობის ქუთისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 2010 წელი_ სერტიფიცირებული კურსი პროექტის მენეჯმენტში; მართვის აკადემია;
- 2007წელი_ საერთშორისო პოლიტიკის მაგისტრი; ჯიპა_ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტუტის სამართლის და პოლიტიკის სკოლა;
- 2003_ მოწვეული მკვლევარი, კოლუმბის-მისურის უნივერსიტეტი; აშშ.
- 1998 წელი_ სამართალმცოდნეობის მაგისტრი; აკ.წერეთლის სახელობის ქუთისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი;
- 1997 წელი_ ინგლისური ენის და ლიტერატურის მაგისტრი; აკ.წერეთლის სახელობის ქუთისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუბლიკაციები

- 2021_ თავი 9, ავტორი: „საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გავლენა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე“; Public Policy and Politics in Georgia_Lessons from Post-Soviet Past; სტატიების კრებული; ტომი 228.ISSN 1614-3515
- 2019_ თარჯიმანი; აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული წიგნის თარგმანის პროგრამა საქართველოში; სახელმძღვანელო: „ოპერაციული მენეჯმენტი: პროცესები და მომარაგების ჯაჭვი“, ავტორები: ლი კრაჯევსკი, მანოჯი მალჰოტა.
- 2018_ თარჯიმანი; აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული წიგნის თარგმანის პროგრამა საქართველოში; სახელმძღვანელო: „მეწარმეობა_ახალი საწარმოს წარმატებით წამოწყება“ ავტორები: ბრუს ბარინგერი; რ. დუან აირლენდი;“
- 2021- მიმდინარე პროექტი; თარჯიმანი; აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული წიგნის თარგმანის პროგრამა საქართველოში; სახელმძღვანელო: „ორგანიზაციული ქცევა: კვალიფიციური მიდგომა”; ავტორები: დოქტორი ქრისტოფერ პ ნეკი; დ ჰოუტონი.

დანართი N3 - ინფორმაცია პროგრამის ადამინური რესურსების შესახებ

№	სახელი, გვარი	აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სამეცნიერო ხარისხი	აფილირებული აკადემიური პერსონალი	სადოქტორო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელი	სასწავლო კომპონენტი
1.	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	კვლევა და სამეცნიერო წერა; საჯარო მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები; საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები; სადოქტორო სემინარი
2.	ბაკურ კვაშილავა	პროფესორი, სოციალური მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი; თვისებრივი კვლევის მეთოდები
3.	ნათია გორგაძე	ასოცირებული პროფესორი, განათლების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი; სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები, საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები.
4.	ნიკოლოზ ესიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი; სადოქტორო სემინარი
5.	თამარ ზურაბიშვილი	ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიის დოქტორი	აფილირებული	-	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი; მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება; სადოქტორო სემინარი
6.	მამუკა მახათაძე	ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	-	საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები; სადოქტორო სემინარი
7.	გვანცა ბესელია	ასისტენტ-პროფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
8.	შალვა ლაზარიაშვილი	ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი

9.	შალვა (ლაშა) გოგიძე	ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
10.	ნინო ცუხიშვილი	ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი
11.	ნათია იაკობიძე	ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	-	კვლევა და სამეცნიერო წერა
12.	კოტე ერისთავი	პროფესორი, ადამიანის უფლებათა თეორიის დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
13.	ალექსანდრე სვანიშვილი	პროფესორი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი, საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები;
14.	გოგიტა თოდრაძე	ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი
15.	დავით კირვალიძე	პროფესორი, აგრარული მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი
16.	ვანო ცერცვაძე	პროფესორი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
17.	ხათუნა გიგაური	ასოცირებული პროფესორი, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
18.	კახა არცივაძე	პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი, საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები;
19.	ია ერაძე	ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
20.	ნინო გელაშვილი	ასოცირებული პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
21.	ნინო აბზიანიძე	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
22.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი, სოციალური მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი, საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები;
23.	ნათია კუტივაძე	პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი

24.	მერაბ კაკულია	პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
25.	დავით ჯანდიერი	პროფესორი, სამართლის დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი
26.	ვლადიმერ ნაფეტვარიძე	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	არააფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
27.	ქეთევან გოგინაშვილი	ასოცირებული პროფესორი, ჯანდაცვის მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი; საჯარო მმართველობის სექტორული განზომილებები;
28.	მიხეილ თოქმაზიშვილი	ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი	არააფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი.
29.	შალვა ტაბატაძე	მოწვეული პერსონალი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი	-	-	მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება
30.	რაო სანგეეტა	აკადემიური პერსონალი, პროფესორი.	არააფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი